

საკომუნიკაციო
სტრატეგია
2017-2020



საგარეო ურთიერთობების სამინისტრო

სარჩევი

შესავალი	2
საინფორმაციო გარემო	3
სამინისტროს ხედვა	5
ნარატივი	6
ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები	7
საკომუნიკაციო თემები	10
საკომუნიკაციო არხები	11
რეკომენდაციები და რისკები	12

შესავალი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია) მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და საქართველოს შეიარაღებული ძალების (შემდგომში - შეიარაღებული ძალები) ერთიანი საკომუნიკაციო მიმართულების, საკომუნიკაციო მიზნების, სამიზნე აუდიტორიებისა და სასურველი საკომუნიკაციო შედეგების განსაზღვრას. აღნიშნული დოკუმენტი სამინისტროს ძირითადი ორგანიზაციული ამოცანებისა და პოლიტიკის, რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევების, საინფორმაციო გარემოს, სამიზნე ჯგუფებისა და მათი განწყობების ანალიზს ეფუძნება.

სამინისტრო მოქმედებს უსაფრთხოების კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში. რუსეთის ფედერაციის მიერ კვლავ გრძელდება საქართველოს ტერიტორიების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ოკუპაცია, რომელიც საქართველოს უმთავრეს უსაფრთხოების გამოწვევად რჩება. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება და ე.წ. „მცოცავი ოკუპაციის“ გაგრძელება არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებების გაფორმება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედ დე-ფაქტო მთავრობებთან, ასევე რუსეთის მზარდი მილიტარიზაცია აღნიშნულ ტერიტორიებზე საერთაშორისო კონტროლის ანარსებობის პირობებში შეიცავს პროვოკაციების გაგრძელებისა და სამხედრო აგრესიის განახლების რისკს.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის განახლების საფრთხის გარდა, საქართველოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა რუსეთის მიერ ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენებით, მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფა. ყირიმის ანექსიამ და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის მიერ განხორციელებულმა კიბერ შეტევებმა და საინფორმაციო ომის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად გაზარდა უსაფრთხოების გამოწვევები გლობალურ დონეზე. საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკასთან გამკლავება, ასევე, მოსალოდნელი ჰიბრიდული ომების სპეციფიკის გათვალისწინება და მასთან ადაპტაცია.

რუსეთის „რბილი ძალის“ მოქმედებები ქვეყნის შიგნით მიმართულია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებისკენ, ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის დისკრედიტაციასა და პრორუსული და ანტიდასავლური ძალების გაძლიერებისკენ. საინფორმაციო სივრცეში მნიშვნელოვნად იზრდება პრორუსული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მოწინააღმდეგე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია-საშუალებების რიცხვი, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის სამინისტროს დისკრედიტაცია წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტია.

საინფორმაციო გარემო

სამინისტროსთვის, არსებული საინფორმაციო გარემო შეიცავს, როგორც შესაძლებლობებს კომუნიკაციის გაძლიერების მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევებს. საინფორმაციო გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ინფორმაციის გავრცელების საშუალებების სტრუქტურა, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განწყობები და საზოგადოებაში სამინისტროს აღქმასთან დაკავშირებული საკითხები ახდენენ.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევების მიხედვით მოსახლეობისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო ტელევიზიაა, თუმცა იზრდება ინტერნეტისა და სოციალური მედიის როლი. 2016 წლის მსოფლიო სტატისტიკის ონლაინ რესურსის მონაცემებით, საქართველოში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობამ 2 411 370-ს მიაღწია, ხოლო Facebook-ის მომხმარებელთა რაოდენობამ 000 2 000-ს. სოციალური მედიის ფუნქციები, ინფორმაციის გაცვლა და დისკუსიისათვის სივრცის შექმნა, საშუალებას იძლევა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიმართულებით მისი გავლენა დღითი დღე გაზარდოს. აღნიშნული ფუნქციის განვითარებას ხელს უწყობს თავისუფალი გარემო. 2016 წლის Freedom House-ის „ინტერნეტის თავისუფლების ინდექსში“ საქართველო თავისუფალ ქვეყნებს შორის დასახელდა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მრავალფეროვნების ზრდა, საზოგადოების მეტი ჩართულობა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში, ხელს უწყობს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის გაძლიერებას, დეზინფორმაციული და გადაუმოწმებელი ინფორმაციის რისკების ზრდის მიუხედავად.

ქვეყანაში რადიოსა და ბეჭდვითი მედია საშუალებების მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდას. რეგიონული მედია საშუალებები ეთნიკურ უმცირესობებს ინფორმაციას აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე აწვდიან.

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს, ფაქტობრივად არ არსებობს დამოუკიდებელი მედია და ინფორმაციის ძირითად წყაროს რუსული ტელე-რადიო საშუალებები წარმოადგენენ.

2012-2016 წლებში ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგებით, მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას აგროძელებს და რუსეთს მთავარ საფრთხედ აღიქვამს. აღნიშნულ წლებში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანებას მოსახლეობის დაახლოებით 2/3 ემხრობა, რაც 2008 წლის პლემბისციტზე გამოხატული ქართველი ხალხის ნების მტკიცე გაგრძელებაა.

რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკის გააქტიურებამ პროორუსული ელექტორატის უფრო მეტი კონსოლიდირება გამოიწვია. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ბოლო წლების კვლევებით, ევრაზიული კავშირის მომხრეთა მაქსიმალური რაოდენობა დაახლოებით 31% დაფიქსირდა. აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელში მყარად პროორუსულ ელექტორატად ის რიცხვი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც რუსეთს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საუკეთესო გარანტიად მიიჩნევს, რაც დაახლოებით 13% წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელში დომინირებს ეთნიკური უმცირესობები.

2012-2016 წლებში IRI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, შეიარაღებული ძალები საზოგადოების ნდობის ძალიან მაღალი მაჩვენებლით სარგებლობს, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს (%86).

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, სამინისტრო გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. 2016 წლის 1-15 მაისის პერიოდში „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად, 2015-2016 წლებში საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლის კუთხით სამინისტროს 69% აქვს.

საინფორმაციო ველში ძლიერდება ნარატივი, რომლის მიხედვითაც დასავლეთი საფრთხეს უქმნის მართლმადიდებლურ ეკლესიას, ქართულ იდენტობასა და ტრადიციებს. მიმდინარეობს ანტიდასავლური და ნიჰილისტური განწყობების გაღვივება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შეიარაღებულ ძალებზე, როგორც საზოგადოების განუყოფელ ნაწილზე.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე საინფორმაციო გარემოში არსებული ანტიდასავლური ნარატივი საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას და მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის მზადების პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ მოსახლეობის ჯეროვანი ინფორმირება, რაც მიზნად რუსული პროპაგანდის შედეგებს გაბათილებას ისახავს.

ამ კუთხით, სტრატეგიული კომუნიკაციები ხელს უწყობს სამინისტროს საკომუნიკაციო/საინფორმაციო პოლიტიკის დღის წესრიგის განსაზღვრას, სამინისტროს ორგანიზაციული ამოცანების და ძირითად სამიზნე აუდიტორიებთან ურთიერთობისას სასურველი შედეგების მიღწევას.

სტრატეგიული კომუნიკაციები ეროვნული/უწყებრივი ინტერესების დასაცავად საინფორმაციო გარემოს ფორმირებას გულისხმობს. შესაბამისად, სტრატეგიული კომუნიკაციების პროცესისთვის სამიზნე აუდიტორიების ამოცნობასა და გზავნილების მათზე მორგებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

სამინისტროს ხედვა

სამინისტროს მიზანია წვლილი შეიტანოს ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი, უსაფრთხო, ძლიერი, სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში, სადაც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ღირსეული როლი და ადგილი აქვს. ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი საფრთხეების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანია უფრო ეფექტური თავდაცვის ინსტიტუციისა და ოპტიმალურ ძალთა სტრუქტურის შექმნა, რომელსაც ხელეწიფება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და ნატოსთან სრული თავსებადობის მიღწევა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამინისტრომ პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით წარმოადგინა „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპი, რომლის განხორციელებაც მოითხოვს რესურსების გონივრულ გადანაწილებას, სამოქალაქო თავდაცვის სისტემის დანერგვას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას, რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის შექმნასა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში ამოცანების განსაზღვრასა და სინქრონიზაციას.

ნარატივი

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვა მის ხელთ არსებული ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალების გამოყენებით.

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციაა. 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე ალიანსის წევრი ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ნატოში გაწევრიანება, როგორც საქართველოს, ასევე რეგიონის მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება, ხელს შეუწყობს საქართველოს სტაბილურობის, მდგრადობისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, შექმნის ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო უსაფრთხო გარემოს, უზრუნველყოფს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვას.

საქართველო ნატოს ერთადერთი ასპირანტი ქვეყანაა, რომელსაც სხვა პრაქტიკულ მექანიზმებთან ერთად წევრობისთვის მოსამზადებლად ნატო-საქართველოს კომისია (NGC) და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) გააჩნია. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის წარმატებით განხორციელება საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებასა და ნატოს წევრობისთვის მომზადებას უწყობს ხელს, რაც შესაბამისად მიმდინარე საფრთხეების ეფექტურ შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს.

საქართველო, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი უსაფრთხოების მომხმარებელიდან უსაფრთხოების მიმწოდებელ ქვეყნად ტრანსფორმირდა. საქართველოს, როგორც სანდო და დასაყრდენ პარტნიორს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში და მონაწილეობს ნატოს, ევროკავშირისა და გაეროს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო მისიებში. გარდა ამისა, 2015 წლიდან ერთი ქართული ქვეითი ასეული ნატოს საპასუხო ძალებში (NRF) მონაწილეობს. თითოეული სამხედრო მოსამსახურის მიერ წარმატებულად შესრულებული ამოცანები არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების საბრძოლო გამოცდილებას ამდიდრებს, არამედ ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში საქართველოს მნიშვნელობას ზრდის. შედეგად, დღეს შეიარაღებულმა ძალებმა მოკავშირე ძალებთან თავსებადობის მაღალ დონეს მიაღწია.

2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ღია სამხედრო აგრესია, საქართველოს ტერიტორიების %20-ის ოკუპაცია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება და ე.წ. მცოცავი ოკუპაციის გაგრძელება არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს და უარყოფითად აისახება საქართველოსა და რეგიონის უსაფრთხოების გარემოზე.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის საფრთხის გარდა, საქართველოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი გამოწვევა რუსეთის მიერ ჰიბრიდული მეთოდების გამოყენებით მებობელი ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფაა, რასაც 2014 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენები ადასტურებს.

ტრადიციულ საფრთხეებზე და ახალ გამოწვევებზე რეაგირება მოითხოვს მაღალი მზადყოფნის მქონე, მოქნილ, კარგად გაწვრთნილ შეიარაღებულ ძალებს, რომელიც საომარი მოქმედებების დროს მოახერხებს სწრაფად და ეფექტურად ქვეყნის ტერიტორიისა და მოსახლეობის დაცვას, ხოლო კრიზისის შემთხვევაში სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერას.

ამისათვის, სამინისტრო და შეიარაღებული ძალები, რესურსების ეფექტურად გადანაწილებით, ცდილობს საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდას, მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას, შეიარაღებული ძალების სათანადოდ აღჭურვას, მობილიზაციისა და რეზერვის სისტემის ჩამოყალიბებას, განათლებისა და წვრთნის სისტემის გაუმჯობესებას, ნატო-სთან და არსებული თანამშრომლობის ყველა ფორმატისა და მექანიზმის ეფექტურ გამოყენებას, და ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას.

ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები

სტრატეგიაში განსაზღვრული საფრთხეებისა და საინფორმაციო გარემოს ანალიზის საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი საკომუნიკაციო მიზნების წარმატებით განხორციელება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. ამ გზაზე, ეფექტიანი და სწორი კომუნიკაცია ასევე ხელს შეუწყობს მოწინააღმდეგეების შეკავების ეფექტის გაზრდას.

სამინისტროს საკომუნიკაციო მიზნები:

1. თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით ინსტიტუციის პოზიტიური იმიჯის კომუნიკაცია, საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება და შეიარაღებული ძალების თავდაცვის შესაძლებლობებში საზოგადოების დარწმუნება:

- ✓ შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციის და თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების გზაზე დაგეგმილი რეფორმების ეფექტური კომუნიკაცია;
- ✓ საქართველოს რეგიონების მოსახლეობის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან პირდაპირი კომუნიკაცია მიმდინარე რეფორმების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;
- ✓ სამოქალაქო საზოგადოებასთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით მუდმივი თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში რეფორმების საკითხებზე.
- ✓ შეიარაღებული ძალების, როგორც საზოგადოების განუყოფელი და ღირსეული ნაწილის და მაღალი ნდობით აღჭურვილი ინსტიტუტის იმიჯისა და რეპუტაციის გაძლიერება;
- ✓ დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობის ერთგულების დემონსტრირება და ეფექტური მმართველობის მაგალითების კომუნიკაცია;
- ✓ სამინისტროს როგორც სანდო, უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის წყაროს წარმოჩენა;
- ✓ ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის მიმართულებით სამინისტროს, როგორც ლიდერი სახელმწიფო ინსტიტუტის წარმოჩენა;
- ✓ სამხედრო თემით დაინტერესებული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ინფორმირება თავდაცვისა და უსაფრთხოების თემებზე, შეიარაღებული ძალების როლზე ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;
- ✓ ნატოსთან, ნატოს წევრ და პარტნიორ სახელმწიფოებთან და ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით მიღებული სარგებლის კომუნიკაცია;
- ✓ საერთაშორისო მისიებსა და ოპერაციებში შეიარაღებული ძალების მონაწილეობის მნიშვნელობის კომუნიკაცია თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდისა და მოკავშირეებთან თავსებადობის ამაღლების კუთხით;
- ✓ სამინისტროს, როგორც მოწინააღმდეგის პროპაგანდასა და ნიჰილისტური განწყობების გაღვივების მცდელობებზე ადეკვატური რეაგირების მქონე უწყების წარმოჩენა.

2. დემონსტრირება, რომ შეიარაღებულ ძალებს აქვს თანამედროვე აღჭურვილობა და ტექნიკა, ასევე, სარგებლობს მაღალი დონის წვრთნის, განათლებისა და სოციალური მხარდაჭერის პროგრამებით:

- ✓ ხარისხიანი განათლებისა და წვრთნის შესაძლებლობების ჯეროვანი კომუნიკაცია;
- ✓ ჯარისკაცებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სოციალური მხარდაჭერის პროგრამების შექმნა, განვითარება და მათი კომუნიკაცია;
- ✓ თანამედროვე, ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესში ნატოს და პარტნიორი ქვეყნების როლის კომუნიკაცია;
- ✓ სამხედრო კარიერა და სავალდებულო სამხედრო სამსახური, როგორც თითოეული მოქალაქისთვის ღირსეული და საამაყო არჩევანის კომუნიკაცია.

3. საქართველოს სახელმწიფო უწყებების ერთიანი ხედვისა და მიდგომების კომუნიკაცია თავდაცვისა და უსაფრთხოების პრიორიტეტებზე, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის გარანტია:

- ✓ ძალოვან და დარგობრივ უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე კრიზისული სიტუაციის ჯეროვანი კომუნიკაცია;
- ✓ სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ოპერაციების შესახებ უწყებათაშორისი ჩართულობის გაზრდა და ერთიანი კოორდინირებული გზავნილების კომუნიკაცია.

4. საქართველოს, როგორც ნატოს, ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების სანდო პარტნიორის, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში მონაწილე ქვეყნის იმიჯის გაძლიერება:

- ✓ ნატოს, ევროკავშირის და გაეროს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობით მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილის კომუნიკაცია;
- ✓ საერთაშორისო სამხედრო წვრთნების, ტერორიზმთან ბრძოლის, ბუნებრივი კატასტროფების, ჰიბრიდული ომის, უსაფრთხოების თუ სხვა სახის გამომწვევების პასუხად ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ✓ ალიანსის წევრ ქვეყნებში საქართველოს, როგორც შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში ნატოსთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობების მქონე ქვეყნის იმიჯის კომუნიკაცია;
- ✓ რეგიონის და მემობელ სახელმწიფოებთან კეთილმეგობლური პოლიტიკის დემონსტრირება.

5. ნატოსთან თავსებადობის ამაღლების, მოწინააღმდეგის შემაკავებელი ეფექტის გაძლიერებისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობისთვის საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე მიღწეული პროგრესის კომუნიკაცია:

- ✓ საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს მიერ ნატოს წინაშე აღებული საერთაშორისო ვალდებულებების ჩანამატებით განხორციელების შესახებ;
- ✓ საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირება ნატოს სამიტებსა და მინისტრიალებზე სამინისტროს მონაწილეობის შესახებ;

- ✓ საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირება საქართველოში ნატოს მაღალი დონის ვიზიტებისა და კონფერენციების შესახებ;
- ✓ საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირება საქართველოში დაგეგმილი ნატოსა და საერთაშორისო სწავლებების შესახებ.

საკომუნიკაციო მიზნები მორგებული უნდა იყოს სამიზნე აუდიტორიის ჯგუფებზე.

საკომუნიკაციო თემები

- ✓ სამინისტროში მიმდინარე რეფორმები:
 - სტრატეგიული მართვა;
 - შეიარაღებული ძალების ოპტიმიზაცია;
 - შეიარაღებული ძალების მზადყოფნა;
 - ინსტიტუციური განვითარება;
 - მრავალმხრივი და ორმხრივი თანამშრომლობა;
- ✓ სამხედრო განათლებისა და წვრთნების სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესება;
- ✓ სავალდებულო სამხედრო სამსახურის თვისობრივი გაუმჯობესება;
- ✓ რეზერვისა და მობილიზაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბება;
- ✓ უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ უწყებათაშორისი თანამშრომლობა;
- ✓ კრიზისის კომუნიკაცია უწყებათაშორის დონეზე;
- ✓ შეიარაღებული ძალები, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციისა და ერთიანობის მაგალითი;
- ✓ სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური მხარდაჭერის პროგრამები;
- ✓ დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების პროგრამა;
- ✓ გამჭვირვალობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება;
- ✓ ნატოში გაწევრიანების გზაზე მიღწეული პროგრესი, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის 15 ინიციატივის განხორციელება;
- ✓ ნატოსთან თავსებადობის ამაღლება;
- ✓ ნატოში გაწევრიანების მოლოდინების მართვა;
- ✓ შეიარაღებული ძალების მონაწილეობა ნატოს, ევროკავშირის და გაეროს ეგიდით ჩანამოებულ საერთაშორისო მისიებსა და ოპერაციებში;
- ✓ უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები: ჰიბრიდული ომი, კიბერუსაფრთხოება, ტერორიზმი.

საკომუნიკაციო არხები

1. მედიასთან ურთიერთობა: სამაუწყებლო მედია - ტელევიზია, რადიო

ტელევიზია და რადიო შიდა აუდიტორიისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი საინფორმაციო არხია. ეფექტურია მისი გამოყენება გზავნილების სწრაფად გასავრცელებლად და სამინისტროს საქმიანობისთვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკურ უმცირესობებთან მათ მშობლიურ ენაზე კომუნიკაციას. მასმედიას ასევე, განსაკუთრებული როლი აქვს საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ დებატების ჩატარების კუთხითაც. შესაბამისად, იგი საქართველოს მოსახლეობისთვის ამ პროცესთან დაკავშირებით ობიექტური ინფორმაციის მიწოდების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ყველაზე ეფექტური შეიძლება იყოს გადაცემები, ვიდეო-რგოლები, მოკლე დოკუმენტური ფილმები, ანიმაციური ფილმები და სხვა;

2. ინტერნეტი და სოციალური მედია

სამინისტრო ძირითად აზრის გამავრცელებლებთან, ახალგაზრდებთან, ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ინტერნეტსა და სოციალურ მედიას (ვებ-პორტალები, სოციალური ქსელები, ელექტრონული პოსტები). შეიქმნა სოციალური მედიის გვერდი (Twitter) ინგლისურ ენაზე, რომელიც სამინისტროს საერთაშორისო სამიზნე აუდიტორიებთან აკავშირებს და მათთვის ჯეროვანი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. ასევე, შემუშავდება სამინისტროს ვებ-პლატფორმა, სადაც განთავსდება ფორუმები და ბლოგები.

3. ბეჭდვითი მედია

გამეთი „ქართული ჯარი“ და სხვა ბეჭდური საშუალებები მოსახლეობისთვის, გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცილებით სპეციფიკური და დეტალური ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. სტატიები თავდაცვისა და უსაფრთხოების თემატიკაზე ქართულ პრესაში წახალისებას საჭიროებს.

გზავნილების გავრცელებისა და სამიზნე აუდიტორიების ჯეროვანი ინფორმირებისთვის შესაძლოა დამზადდეს ე.წ. „ხილვადი მასალა“ („Visibility material“) (კალმები, ფლაერები, ბროშურები, ტრიპლეტები, ბიულეტენები, პლაკატები, სტიკერები და ა.შ.), რაც შესაძლოა, ღონისძიებებისა და კამპანიების მსვლელობისას დარიგდეს.

4. საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული, ორმხრივი კომუნიკაცია

კონფერენციები, სემინარები, დისკუსიები, მრგვალი მაგიდა, დებატები, საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მოსახლეობასთან და სათემო წარმომადგენლობებთან ხელს შეუწყობს ეფექტურ, ორმხრივ კომუნიკაციას და შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის დაახლოებას. აღნიშნული პლატფორმების გამოყენება შესაძლებელია უსაფრთხოების თემებსა და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე ინფორმაციის მისაწოდებლად.

5. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

სსიპ - საინფორმაციო ცენტრთან ნატოსა და ევროკავშირის შესახებ თანამშრომლობის გზით, სამინისტროს შესაძლებლობა აქვს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, დამატებით, გაავრცელოს ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით არსებული 8 საინფორმაციო ცენტრის საშუალებით. სამინისტრო მის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების სინქრონიზებას მოახდენს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში შექმნილ კალენდართან, ასევე განახორციელებს ერთობლივ აქტივობებს.

6. სამოქალაქო საზოგადოება

სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებასა და მიმდინარე პროცესებში. თანამშრომლობის პლატფორმის (კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, საინფორმაციო შეხვედრები) შექმნა ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების აქტიურ ჩართულობას თავდაცვის რეფორმების განხორციელების პროცესში, გაზრდის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის მხარდაჭერას.

7. შიდა საკომუნიკაციო არხები

სამინისტრო, სამინისტროს სამოქალაქო ოფისსა და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში (შემდგომში - გენერალური შტაბი) მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ თანამშრომლებისათვის ინფორმაციის ცირკულაციას მოახდენს. გამოიყენებს ისეთ ელექტრონულ საშუალებებს და პროდუქტებს, როგორიც არის გაზეთი „ქართული ჯარი“, PPT პრეზენტაციები, ძირითადი გზავნილები, კითხვა-პასუხი პრიორიტეტული თემების ირგვლივ. ინფორმაციის აღქმისა და გაგების მიზნით ასევე, გამოიყენებს ვიზუალიზაციის ისეთ საშუალებებს, როგორიც არის გრაფიკები, სტატისტიკა, სქემები და გრაფიკული ვიდეო, რაც სამინისტროს თანამშრომელთა მიერ ინფორმაციის ზედმიწევნით ათვისებას, სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების, თითოეულ თემაზე იდენტიფიცირებული სპიკერების, ძირითადი გზავნილების ცოდნას შეუწყობს ხელს. ზოგიერთი პროდუქტის გამოყენება შესაძლებელია საერთაშორისო აუდიტორიისთვის (მაგალითად, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსი და საერთაშორისო ორგანიზაციები) ინფორმაციის მისაწოდებლად.

სამინისტროს შიდა საკომუნიკაციო რესურსს სამინისტროში, შეიარაღებულ ძალებსა და გენერალურ შტაბში დასაქმებული თითოეული თანამშრომელი წარმოადგენს. მათი ეფექტური ინფორმირება სამინისტროში მიმდინარე მოვლენებსა და რეფორმებზე სამინისტროს, დამატებით, რამდენიმე ათას კომუნიკატორს ჰმატებს. აღსანიშნავია, რომ თითოეული თანამშრომელი მათ ოჯახებსა და სამეგობრო წრეებში უფრო სანდო საინფორმაციო წყაროა, ვიდრე ნებისმიერი საინფორმაციო გადაცემა. შესაბამისად, განსაკუთრებული ძალისხმევა სწორედ ამ მიმართულებით უნდა იყოს კონცენტრირებული.

8. უწყებათაშორისი კომუნიკაცია

სამინისტრო გზავნილებისა და საინფორმაციო აქტივობების შესახებ რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, საქართველოს დაზვერვის სამსახურს. ასევე მოხდება კრიზისების კომუნიკაციის შესაძლებლობების და ქსელის განვითარება.

რეკომენდაციები და რისკები

სამინისტრომ პირველად შეიმუშავა სტრატეგია და შესაბამისად, მიზანშეწონილია საკომუნიკაციო მიზნებისა და თემების მონიტორინგის საფუძველზე, შესწავლილი იყოს მათი ეფექტურობა და გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებული იყოს მომავალ სტრატეგიაში. თავდაცვის პრიორიტეტებისა და მიმართულებების ცვლილებების შესაბამისად, უნდა გადაიხედოს საკომუნიკაციო მიზნები და თემები.

აღნიშნული დოკუმენტი მორგებულია მშვიდობიან, არაკრიზისულ ვითარებას. მიზანშეწონილია, შემუშავდეს კრიზისული კომუნიკაციის სახელმძღვანელო და განისაზღვროს სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობა და როლი კრიზისულ და საომარ სიტუაციებში.

არსებული დინამიური საინფორმაციო და სტრატეგიული გარემოს ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილია სტრატეგიის ყოველწლიური გადახედვა.